



ნონა კოხია, 80 წლის, აფხაზეთიდან დევნილი, ქობულეთი (Nonna Kokhia)

ნონა კოხია დაიბადა 1934 წელს მარტვილის რაიონში, დაოჯახების შემდეგ სოხუმში ცხოვრობდა. ჰყავს ორი შვილი, ქალ-ვაჟი.

წლების მანძილზე სოხუმის დასასვენებელ სახლში მზარეულად მუშაობდა. თვლის, რომ სამსახური მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო, არა მარტო მატერიალური კუთხით, არამედ უპირველესად იმიტომ, რომ საშუალება ეძლეოდა საკუთარი შესაძლებლობები გამოეცვლინა.

„1993 წელს, აფხაზეთის ომის დროს, როდესაც სოხუმი დაეცა, მე და ჩემმა მეუღლემ ორი დღე და ღამე, თოვლში და ქარში, ტყე-ღრეში ჭუბერ-საკენის უღელტეხილი ფეხით გავიარეთ ორ მცირეწლოვან შვილიშვილთან ერთად. რძალი ფეხმძიმედ იყო, სიარულს ვერ შეძლებდა და ამიტომ ვერტმფრენით გადაწყვიტა გადმოფრენა, საუბედუროდ ვერტმფრენი ბაბუშერას აეროპორტში აფეთქდა. მას შემდეგ ქობულეთში ვცხოვრობთ. პირველად ერთ-ერთ სანატორიუმში დავბინავდით, სადაც შესახლებულებს არანაირი პირობები არ გვექონდა. მალე ჩემი მეუღლეც გარდაიცვალა, მარტომ გავზარდე ორი შვილიშვილი. პატარები რომ მშვიდები არ დამრჩენოდა არანაირ სამუშაოს ვთაკილობდი, ხან ვალაგებდი, ხან ღვეზელებს ვაცხობდი და ვყიდდი. ძალიან გვიჭირდა თავის გატანა. სამწუხაროდ დღემდე საკუთარ სამშობლოში ლტოლვილის სტატუსით ვცხოვრობ და ამ სტატუსის „შესამსუბუქებლად“ სახელმწიფო 28 ლარით უზრუნველმყოფს,“ - იხსენებს ნონა კოხია.

ქალბატონი ნონა ამბობს, რომ დღეს ქალის როლი საზოგადოებაში საკმაოდ შეიცვალა, ქალი აქტიურად ჩაება პოლიტიკაში, საქმიანი იმიჯიც დაიმკვიდრა, ხმა აიმაღლა იმ ფაქტების მიმართ, რაც ზოგიერთ მავნე ადათ-წესს მოჰქონდა და რაც მთავარია, მდებრობითი სქესის წარმომადგენლებმა შეძლეს იმ შეხედულების დანგრევა, რომლითაც ქალი სუსტი არსებია.

ნონა კოხიას აზრით, პენსია იმდენად მცირეა, რომ ჯანმრთელობის მისახედად არ ჰყოფნით, მკურნალობა უფასოა, მაგრამ მედიკამენტების საყიდელი თანხა არ რჩებათ. „ჩვენ არ უნდა დავუმალოთ შვილებს ჩვენი პრობლემები, არამედ ვეჩვენოთ ისეთები, როგორებიც ვართ“ - ამბობს ის.

„ჩემი ცხოვრება ხანდაზმულთა რესურს ცენტრში მისვლის შემდეგ გახალისდა, გამამხნევა იქ ჩატარებულმა ღონისძიებებმა და ქალებთან ურთიერთობამ, ასეთი პროექტები აუცილებელია მოხუცი თაობისთვის, ისედაც პრობლემებით აღსავსე ცხოვრებისა და განვლილი რთული გზის დასავიწყებლად და სიბერის ღირსეულად გასატარებლად.“

მინდა მომავალ თაობას ვუთხრა: „ჩვენ ვართ თქვენი ხსნა და დაღუპვაც, შეგვხედეთ იმ მხრიდან, საიდანაც ხსნას დაინახავთ, იცხოვრეთ მომავლით, რწმენით, იმედით, იარეთ პირდაპირ და ნუ მობრუნდებით.“

Nonna Kokhia, 80, Kobuleti

Nona Kokhia was born in 1934 in Martivli. After she married she lived in Sukhumi. She has a son and a daughter.

Over the years, she worked as a cook in the hotel in Sukhumi. The job was very important to her, not only as a source of income but as an opportunity to demonstrate her talents.

"In 1993, during the war in Abkhazia, when Sukhumi fell, my husband and I spent two days and nights in snow and wind in the woods and travelled through the Tchuber-Sakeni Pass on foot with two little children. Our daughter-in-law was pregnant, she could not come with us, and she went by helicopter. Unfortunately, the helicopter exploded at Babushera Airport. After that, we lived in Kobuleti. At first, the government organized accommodation for us at a sanatorium, where living conditions were difficult. Soon my husband died. I brought up my grandchildren alone. I did everything to make sure that my little ones did not go hungry. I cleaned houses, baked and sold pies. It was very difficult to make ends meet. Unfortunately, we are still living in our home country as refugees and the government only gives me 28 Georgian Laris to soften the blow," says Mrs. Nona.

Mrs. Nona says that women's role in society has changed; women are actively involved in politics and business, and have been vocal about some harmful traditions. The most important thing is that women have changed the opinion that they are weak creatures.

She believes that the pension is so small that it does not cover expenses for health; treatment is free but older people do not have the money to buy medicines. "We must not hide our problems from children, but show ourselves as we are," says Mrs. Nona.

"After arriving at the Resource Centre for the Elderly my life has been changed and has become more joyful. The events that take place at the centre and the relationships I have made with other women have encouraged me. Such projects are essential for the older generation to forget their past lives, full of problems, and to spend their old age with dignity."

I would like to say to the younger generation - we are your salvation. Look at us from the view point where you can see the salvation, live with the hope of a better future, with faith and hope, and walk straight and do not look back.